

შპს „ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის
რეგიონალური ცენტრი“

საოფისე მარაგების შესყიდვის

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის
საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის

სატენდერო დოკუმენტაცია

CPV30100000

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე.

ქ. ბათუმი, 2017 წელი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია:

1.1. საქონლის მოცულობა, ტექნიკური პარამეტრები:

ა) საოფისე მარაგების შესყიდვა დანართში №1-ში;

ბ) შემოთავაზებული საქონელი უნდა იყოს ორიგინალი და ქარხნული წარმოების.

1.2.1 ფასების ცხრილი:

ა) ფასების ცხრილი წარმოდგენილ უნდა იქნეს **დანართი №1-ის** შესაბამისად;

ბ) ფასში ასახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი;

გ) თუ პრეტენდენტი არ არის დღგ-ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე (პრეტენდენტმა შენიშვნის სახით უნდა მიუთითოს გარემოება, რის საფუძველზეც არ ითვლება დღგ-ის გადამხდელად);

დ) თუ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად, ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასიდან გამომდინარე, ერთეულის ფასები წარმოდგება მრავალნიშნა ათწილადის სახით, გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის შეამციროს ერთეულის ფასი და დაამრგვალოს მეასედებამდე. შესაბამისად, შეამციროს საერთო ფასიც.

ე) იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, რაზეც პრეტენდენტის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში წარმოდგენილი უნდა იქნეს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული პირის დასკვნა (აკრედიტებული პირის მიერ გაცემულ დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი). ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-11-მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

1.3 ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:

1.3.1 ანგარიშსწორების პირობა:

ა) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის და გაფორმებისა და ელექტრონული ზედნადების წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

გ) საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

1.3.2. მიწოდების ვადა, ადგილი, პირობა:

ა) მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 25 დეკემბრამდე;

ბ) შესყიდვის ობიექტის დანიშნულების ადგილამდე მიტანას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით შემსყიდველის მისამართზე: ქ. ბათუმი, ქათამაძის ქ. №11;

გ) მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღისა.

შენიშვნა : პრეტენდენტი ვალდებულია არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში უზრუნველყოს ნიმუშების წარმოდგენა მისამართზე: ქ. ბათუმი, ქათამაძის ქ. №11. შემოთავაზებული პროდუქცია უნდა იყოს მაღალი ხარისხის, უნდა აკმაყოფილებდეს თითოეული სახეობებისთვის ინდივიდუალურად წაყენებულ სტანდარტულ მოთხოვნებს და არ უნდა იწვევდეს სამუშაო პროცესის შეფერხებას

1.3.3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 1.0 % ოდენობით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 5%, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

გ) საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

დ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

1.4. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ:

ა) ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, გარდა სატენდერო დოკუმენტაციის 1.3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა.

1.5. დამატებითი მოთხოვნები

ა) გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.6. პრეტენდენტი პირის რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება

საიდენტიფიკაციო კოდი/ ნომერი

პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:

ხელმძღვანელის სახელი, გვარი

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: ☐ ტელ.: ; ☐ ფაქსი.: ; ☐ მობ.:

ელექტრონული მისამართი, E-mail:

ბანკის დასახელება

ბანკის კოდი

ანგარიშსწორების ანგარიში

1.7. პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს:

ა) სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული დოკუმენტების ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, შემდეგი თანმიმდევრობით:

- ფასების ცხრილი;
- ტექნიკური დოკუმენტაცია;
- ხელშეკრულების აუცილებელი პირობები;
- პრეტენდენტი პირის რეკვიზიტები;

ბ) ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.8. საკონტაქტო ინფორმაცია:

ა) სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში. ფაქტ. მის.: ქათამაძის ქ. №11; E mail: info.infeqciuri@gmail.com; საკონტაქტო პირი: ნინო კვაჭაძე -ტელ: 558 42 88 92

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება _____

სატენდერო წინადადადების ფასი _____

N	დასახელება	წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი კომპანია	განზომილების ერთეული, რაოდენობა		ერთეული ს ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	ანტისტეპლერი		ცალი	100,00		
2	ბაინდერი დიდი		ცალი	800,00		
3	გასავლის ორდერი		ცალი	50,00		
4	დირაკოლი პატარა		ცალი	10,00		
5	დისკებზე საწერი მარკერი		ცალი	50,00		
6	თაბახის ფურცელი A3		ცალი	5,00		
7	თითის სასველებელი		ცალი	30,00		
8	კალკულატორი		ცალი	30,00		
9	კაპიროვკა შავი ან ლურჯი		შეკვრა	10,00		
10	კლიპი სხვადასხვა ფორმის ფერადი		კოლოფი	50,00		
11	კლიპი ფერადი 19მმ		კოლოფი	100,00		
12	კლიპი ფერადი 32მმ		კოლოფი	100,00		
13	კომპიუტერის საწმენდი სალფეთქი		ცალი	200,00		
14	კონვერტი A3		ცალი	60,00		

15	კონვერტი A4		ცალი	200,00		
16	კონვერტი A6		ცალი	300,00		
17	კორექტორი პასტა		ცალი	50,00		
18	მაგიდის თაროები		ცალი	10,00		
19	მაგნიტი დაფის		ცალი	20,00		
20	მაკრატელი		ცალი	10,00		
21	მარკერი სხვადასხვა ფერის		ცალი	50,00		
22	მაუსის ბალიში		ცალი	10,00		
23	მელანი ლურჯი მაღალი ხარისხის		ცალი	10,00		
24	ორგანიზერი		ცალი	10,00		
25	პასტა ლურჯი		ცალი	1000,00		
26	პასტა შავი		ცალი	10,00		
27	პასტა წითელი		ცალი	10,00		
28	პატარა ბანდეროლი პაკეტი		ცალი	20,00		
29	ჟურნალი რვეული 100 ფურცლიანი		ცალი	250,00		
30	ჟურნალი რვეული 48 ფურცლიანი		ცალი	30,00		
31	რვეული 12 ფურცლიანი		ცალი	125,00		
32	რვეული 100 ფურცლიანი		ცალი	100,00		
33	რვეული 48 ფურცლიანი		ცალი	150,00		
34	საკანცელარიო დანა		ცალი	10,00		
35	საკანცელარიო მიქსი		ცალი	5,00		

36	სამელნე ბალიში		ცალი	5,00		
37	საქალაქო ღილაკით ფერადი		ცალი	10,00		
38	სახაზავი		ცალი	20,00		
39	სკრეპი 50მმ ფერადი		ყუთი	2,00		
40	სტეპლერი 24/6 მაღალი ხარისხის		ცალი	50,00		
41	სტეპლერის ტყვიები 24/6 მაღალი		ცალი	2000,00		
42	სწრაფჩამკერი ზამბარიანი		ცალი	500,00		
43	სწრაფჩამკერი თხელი		ცალი	1000,00		
44	ფაილი A4 მაღალი ხარისხის		შეკვრა	600,00		
45	ფანქარი		ცალი	145,00		
46	შემოსავლის ორდერი		ცალი	300,00		
47	ჩასანიშნი ფურცელი არა წებვადი		შეკვრა	200,00		
48	ჩეკის რულონი 110მმ		ცალი	30,00		
49	ჩეკის რულონი 57მმ X14m		ცალი	1000,00		
50	წებოვანი ფურცლები სხვადასხვა		ცალი	1000,00		
51	წებო მშრალი		ცალი	100,00		
52	წებოვანი ეტიკეტი დიდი		შეკვრა	5,00		
53	წებოვანი ეტიკეტი საშუალო		შეკვრა	5,00		
54	კალენდარი დასადგამით მაგიდის		ცალი	20,00		

პრეტენდენტის ხელმოწერა _____ ბ.ა.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი ხელშეკრულება №

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. ბათუმი

2017 წ

ერთის მხრივ შპს “ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თამაზ კარანაძის სახით და მეორეს მხრივ, ----- (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი ----- სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.7. „ფასების ცხრილი“ – მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ტენდერის ფარგლებში წარმოდგენილი „ფასების ცხრილი“.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს საოფისე მარაგები (CPV30100000), შემდეგში „შესყიდვის ობიექტი/საქონელი“, ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.
- 2.2. საქონლის დასახელება, ერთეულის ფასი და რაოდენობა განისაზღვრება ფასთა ცხრილით (დანართი №2), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების საერთო (სავარაუდო) ღირებულება შეადგენს _____ ლარს.
- 3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

- 4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების დადებიდან 2017 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნა განხორციელდება წერილობით ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
- 4.2. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო და აკმაყოფილებდეს ხარისხის დადგენილ სტანდარტებს.
- 4.3. თუ მიმწოდებელი არ უზრუნველყოფს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონლის მიწოდებას 4.1. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, აღნიშნული ჩაითვლება საქონლის მიწოდების ვადის დარღვევად და მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების 8.1. პუნქტის შესაბამისად.
- 4.4. საქონლის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.
- 4.5. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, ქათამაძის ქ. №11
- 4.6. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირი/პირები ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.
- 5.2. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველი ახორციელებს საქონლის მიღებას, ხოლო თუ გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლის მქონე საქონელი და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა 5 სამუშაო დღის ვადაში.
- 5.3. თუ მიმწოდებელი არ უზრუნველყოფს ხარვეზის აღმოფხვრას 5.2. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ამასთან, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების 8.3. პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

- 6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, მიმწოდებლის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.
- 6.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის და გაფორმებისა და ელექტრონული ზედნადების წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, მიწოდებული საქონლის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. თუ მიმწოდებლის მიერ დარღვეულ იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადები, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების 0,5 %-ს ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების მიმწოდებლის მიერ შეუსრულებლობისას შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5(ხუთი)%-ის ოდენობით.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველი ძალის გარემოების შედეგი.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “დაუძლეველი ძალა” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობი სმიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები,

რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი ძალის გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ემუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისთვის ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

12. გადასახადები და დაბეგვრა

12.1. უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

12.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ როგორც კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, ასევე სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის ----- ჩათვლით.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.